საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-836

21/09/2020

ქ. თბილისი

შპს „RMG Gold“-ის კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავებაზე (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 14 სექტემბერს სამინისტროს მომართა შპს „RMG Gold“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანება.

სამინისტროს მიერ შპს „RMG Gold“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (კვარციტული მადნებიდან ოქროს ამოკრეფა გროვული გამოტუტვის მეთოდით) გაიცა №14 (30.01.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-329 (08.04.2020) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ხოლო შპს „RMG Gold“-ის ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გროვული გამოტუტვის მეთოდით გადამუშავებაზე გაცემულია №57 (27.08.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-329 (08.04.2020) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ბარიტის მადნისა და კვარციტული მადნის გროვული გამოტუტვა მიმდინარეობს ერთ ტერიტორიაზე/საწარმოო მოედანზე. ორივე საქმიანობა დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებასთან. ორივე შემთხვევაში ოქროს ამოკრეფა ხორციელდება გროვული გამოტუტვის მეთოდით, შესაბამისად, ბარიტის მადნებიდან ოქროს ამოკრეფის და კვარციტული მადნებიდან ოქროს ამოკრეფის ტექნოლოგია მსგავსი და ურთიერთდაკავშირებულია. ეს ორი საქმიანობა მხოლოდ აგლომერაციის მეთოდით განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, ძირითად ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებულია ერთი და იგივე ტექნოლოგიური მოწყობილობები, ქიმიური ნივთიერებები და დანადგარები. ამის საილუსტრაციოდ კომპანიას წარმოდგენილი აქვს სქემა, რომელშიც მოცემულია ორივე საქმიანობის-ბარიტის მადნისა და კვარციტული მადნის გროვული გამოტუტვის ტექნიკური და ფუნქციური ურთიერთკავშირი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებისთვისაც გაცემულია რამდენიმე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს განცხადებით და მოითხოვოს ამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ერთ

გადაწყვეტილებად გაერთიანება. სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წესით იღებს გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „RMG Gold"-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (კვარციტული მადნებიდან ოქროს ამოკრეფა გროვული გამოტუტვის მეთოდით) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" და „შპს „RMG Gold"-ის ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გროვული გამოტუტვის მეთოდით გადამუშავებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 8 აპრილის №ი-329 და №ი-328 ბრძანებები, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2009 წლის №14 და 2017 წლის №57 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „RMG Gold"-ის კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავებაზე (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე (დასკვნა №14; 30.01.2009; დასკვნა №57; 27.08.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) „შპს „RMG Gold"-ის ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გროვული გამოტუტვის მეთოდით გადამუშავებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 8 აპრილის №ი-328 ბრძანება;

   ბ) „შპს „RMG Gold"-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (კვარციტული მადნებიდან ოქროს ამოკრეფა გროვული გამოტუტვის მეთოდით) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 8 აპრილის №2-329 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „RMG Gold"-ს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „RMG Gold"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი